№ 26 5 თებერვალი, კვირა 1866—1878 5 თებერვალი, კვირა № 26

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.
კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.
ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.
გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს ...
ფასი განცხადებისა: წვრილ ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.
რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ
(ოფიციალური)

29 იანვარს Დაღესტნის ცხენოსანმა პოლკმა, რომელიც ჩვენი ჯარისათვის გაგზავნილს ყარავანს მიჰყვებოდა, ნახა, რომ სოფ. Იალლუჯიყი, Არზრუმის მახლობლად, დაჭერილია Ოსმალოს სალდათებისაგან. Ესენი უბრძოლველად დანებდნენ ჩვენებს; სულ 26 აფიცერი იყო და 133 სალდათი, რომელნიც Ილიჯაში მოიყვანეს ჩვენს კვარტირაში და იქიდამ Არზრუმს გაგზავნეს. Აღმოჩნდა, რომ ესენი მალვით Ერზინგიანში აპირებდნენ წასვლას Არზრუმიდამ.

—

ვენა, 2 თებერვალს. („Ობზორის“ დეპეშა). Ავსტრო-ვენგრიის მმართებლობამ, როგორც ეტყობა, Გერმანიის რჩევით, გადაწყვიტა, რომ Ინგლისთან ერთად არ იმოქმედებს რუსეთის წინააღმდეგ, არ ამზადებს ჯარებსა და არც სტამბოლში გზავნის თავის ფლოტს.

სტამბოლიდამ მოვიდა აქ ამბავი, რომ Ბრიტანიის ფლოტი უკვე შესულა Დარდანელში, თუმცა Ოსმალოს სიმაგრეების კამენდანტებს ნება არ მიუციათ. Ორი ჯავშნიანი ხომალდი Ინგლისისა Გალიპოლთანაა გაჩერებული, დანარჩენი კი პირ-და-პირ სტამბოლისაკენ წასულან.

ლონდონი, 2 თებერვალს. „ხალხთაშორის სააგენტოსი). Გაზ. „Standard“ ამბობს, რომ ტყუილია ის ამბავი, ვითომც Დერბი სამინისტროდამ გამოდისო და მმართებლობას პარლამენტის დათხოვნის განზრახვა აქვსო.

ამავე გაზეთის სიტყვით, სამხედრო მთავრობას მოლაპარაკება აქვს მეიჯარეებთან იმის თაობაზე, რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, ჯარისათვის პროვიანტის (სურსათის) იჯარით აღება იკისრონ.

დღეს აქ ჩარლსტონის კლუბში იქნება დეპუტატების მიტინგი, რომელზედაც უნდა გადაწყვიტონ, რომ ყოველს შემთხვევაში ახლანდელი სამინისტროს მხარე დაიჭირონ და აგრეთვე თანაგრძნობა გამოუცხადონ იმას. Მეორე მხრით მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატები ადგენენ ცალკე კომიტეტს, რომელმანც თვალ-ყური უნდა ადევნოს აღმოსავლეთის საქმეების მსვლელობას და ეცადონ, რომ Ინგლისი ბრძოლაში არ გაერიოს.

ომის ამბები

ომისთვის მზადება

ზოგიერთ გაზეთებს უკვირთ, რომ Ინგლისის სამხედრო ხომალდები უფირმანოთ როგორ შევიდნენ Დარდანელის წყალში და როგორ მიადგნენ სტამბოლსაო. Ამ საგნის შესახებ Დარბიმ სთქვა 28-იანვარს Ინგლისის პარლამენტში, რომ Ინგლისს თავის ფლოტისთვის ახალი ფირმანი არ დასჭირებია ხონთქრისაგანაო, ძველი ფირმანის ძალით მიიყვანა სტამბოლთან ხომალდებიო.

—

როგორც დეპეშამ გვაცნობა, Ინგლისის ხალხისა და პარლამენტის მომეტებულ ნაწილმა დიდის სიამოვნებით მიიღო სამინისტროს წინადადების დამტკიცება, რომ მმართებლობას ომიანობის საჭიროებისათვის ხაზინიდამ ფულის დახარჯვის უფლება მიენიჭოს და ამას გარდა ის გარემოება, რომ Ინგლისმა თავის ფლოტი სტამბოლში გაგზავნა.

ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია ახლა დაწვრილებითი ანგარიში იმ სხდომისა, რომელზედაც ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება მიუღიათ. Ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ Გრენვილს უთქვამს, სხვათა შორის:

„Ინგლისის ფლოტის სტამბოლში გაგზავნა, რასაკვირველია, მძიმე და ყურადღების ღირსი საქმეა, მაგრამ მეორეს მხრით ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მმართებლობას სხვა გზა არ ჰქონდა, რომ Ინგლისის ინტერესები დაეცვა. Ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ დროებით შერიგების შემდეგაც რუსის ჯარები სტამბოლისაკენ იწევდნენდა სტამბოლის დაჭერა რუსებისაგან, უეჭველია, პირ-და-პირ Ინგლისს შეეხება.

„მაგრამ იმედი არ დაგვკარგვია ჩვენ, რომ საქმე კიდევ შეიძლება მშვიდობიანად, უომოთ გათავდეს. Ეს ყველასთვის სანატრელია და Ინგლისის ახლანდელი სამინისტროც ამას ცდილობს.“

—

„მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია სამხედრო სამინისტროს განკარგულება, რომ რადგანაც, დროებით შერიგების გამო, შავს ზღვაზე ხომალდებს თავისუფლად შეუძლიანთ სიარული, ამის გამო სტამბოლისაკენ მიმავალ რუსის ჯარისათვის სურსათი Ოდესიდამ უნდა გაიგზავნოს სავაჭრო ხომალდებითაო.

—

ფრანც. გაზეთს „Le Temps“-ში იწერებიან, რომ ახლად-მიცვალებულ რომის პაპმა სტამბოლში მყოფი ფრანგები Ინგლისის სტამბოლელ ელჩს Ლეიარდს მიანდოვო, რომ ვინიცობაა რამე მოხდეს, იმან უნდა უპატრონოსო.

—

ლონდონის გაზეთს „Globe“-ში იწერებიან 26 იანვარს სტამბოლიდამ:

„თუმცა ტყუილია, რომ ვითომც რუსის ჯარი შევიდა სტამბოლშიო, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ეს ჯარი თანდა-თან წინ იწევს Ოსმალეთის სატახტო ქალაქისაკენ და აგრეთვე Გალიპოლისაკენ.

შერიგების თაობაზე

Ინგლისური გაზეთი „Standard“ გვაცნობებს, რომ Ოსმალეთსა და რუსეთს შუა დროებით შერიგების პირობის ძალით Ოსმალეებმა უნდა გაიყვანონ სტამბოლის წინა სიმაგრეებიდამ თავის ჯარები და რუსებს დაუთმონ; ისინი დაბანაკდებიან Ქუჩუქ-ჩექმეჯეში და რუსები კი Ბუიუქ-ჩექმეჯეში.

ამნაირად, ხსენებული გაზეთის სიტყვით, რუსის ჯარები 30 ვერსზე ანუ ერთი დღის სავალზედ იქნებიან სტამბოლიდამ დაბანაკებული.

—

გაზეთის „Indépendance Belge“-ის კორრესპონდენტს ულაპარაკნია Ბუხარესტში ლენ. Იგნატიევთან და სხვათა შორის ამბობს ლენ. Იგნატიევმა მითხრაო, რომ რუსეთი სტამბოლში შეურიგდება Ოსმალეთსაო და შერიგების

პირობად მოითხოვსო: დარდანელის წყალში თავის ხომალდებისათვის თავისუფლად სიარულის უფლებას, ბესარაბიას და ოსმალეთის სომხეთს (ომის ხარჯის გადასახდელად).

—

ამავე გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი ამბობს:

„მე ნამდვილად შევიტყე, რომ პირველად ხონთქარმა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს დეპეშა და გამოუცხადა იმას შერიგების სურვილი, ამასთანავე სთხოვა, რომ რუსის ჯარებისათვის ბრძანება გაეცა, რომ ყოველი სამხედრო მოქმედება შეეჩერებინათ. მეორე თუ მესამე დღეს ხონთქარს მიუვიდა ამ ტელეგრამმის პასუხი, რომ რუსეთის იმპერატორი მზათ არის ხონთქრის სურვილი დააკმაყოფილოს.

„იმ წამსვე ორივე მხრით დანიშნული იყვნენ დანდობილი პირები, რომელთაც დროებით შერიგების პირობები უნდა შეეკრათ. ამ პირობის ძალით, სხვათა შორის, არზრუმი და სილისტრია ოსმალებმა უნდა მიატოვონ და ეს ქალაქები დროებით რუსის ჯარებმა უნდა დაიჭირონ.“

აზიის ბრძოლის ველიდამ

გაზეთს „Indépen. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა ციხის-ძირთან უკანასკნელი (18 იანვარს) ბრძოლის თაობაზე:

„18 იანვარს რუსის ჯარი დამარცხებული იქმნა ბათუმის მახლობლად; ამ შეტაკების დროს იმათ თითქმის ორი ათასამდინ ჰყავთ დახოცილი და დაჭრილი.“

—

რუსული გაზეთის „ახალი დროების“ კორრესპონდენტი იწერება, რომ სოფ. ზინსის (არზრუმის მახლობლად) აღების დროს გამოჩენილი მეჰრ-ალი დაეჭრიათო და შემდეგ მოგვივიდა ამბავიო, რომ დაჭრილი მეჰრ-ალი ჩამოვარდნილა ცხენიდამ, ფეხი მოუტეხია და მომკვდარაო.

—

ერთს რუსულ გაზეთში მოყვანილია ოფოციალური წყაროდამ შეკრებილი ცნობები შესახებ იმისა—თუ რამდენი ზარბაზანი წაურთმევია რუსებს ოსმალებისათვის ამ ომიანობის განმავალობაში და რამდონი ფაშა და სალდათები დაუტყვევებია. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ რუსების ხელში არის სულ:

ზარბაზანი—1000-მდინ
ფაშა—30 „
და სალდათები 120,000 „

საქართველო

დღიური

** უფ. ხმოვანის სურგუნოვის თაოსნობით დაწყებული ქალაქის ქუჩების გაზით განათების საქმე, როგორც ეტყობა, მალე მოვა სისრულეში, მთელი ქალაქისთვის თუ არა, სოლოლაკისთვის მაინც: ამ დღეებში სერგიევი ქუჩაზე გაიყვანეს გაზის მილები და ახლა დანარჩენ სოლოლაკის ქუჩებზედაც გაჰყავთ.

იმედია, ეს ნიმუშათ გაკეთებული ფანრები დაუმტკიცებენ ქალაქს გამგეობას, რომ გაზით განათება საუკეთესო განათებაა ქალაქისათვის და უფრო იაფიც.

** ჩვენ გვითხრეს რომ სიონის რეგენტი შესდგომია ამ ჟამად ქართული საეკკლესიო გალობის ნოტებზე დაწყობას.

მოგხსენებათ, რომ ყოვლად-უსამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ამ საგნისათვის 500 მანეთი შესწირა.

** თელავიდამ გვწერენ, რომ იქ გავრცელებულა ხმა, ვითომც ამ ჟამად ქალაქში საშინელი ავათმყოფობა რაღაც „შავი ყვავილი“ ჰყოს გავრცელებული და ამის გამო თელავიდამ ვაჭრები თფილისში ეღარ მოდიან სავაჭროთაო, რადგან ამ ავათმყოფობის ეშინიანთო, და იქ საშინლად გაძვირდა ყველაფერიო.

ამ საგნისავე შესახებ „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, ვითომ იქაურ უეზდის უფროსს დაებრუნებინოს გზიდავიღაც ორი თფილისელი ვაჭარი, რომ მელნიც თელავში მიდიოდნენო.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 29 იანვარს. ადგილობრივის პოლიციის პრისტავის თანაშემწემ დღეს წერილობითი განცხადება გამოსცა, რომლითაც ყოველს ამ ქალაქში მცხოვრებს ვალდებულათ ჰხდის, რათა იქონიონ ჯეროვანი სისუფთავე სახლებში, ეზოებში, საჭირო ადგილებში და სხვ. ამასთან იყო განმარტებული, რომ ამ გვარი მოქცევა არის აუცილებლად საჭირო განსაჩინებლად იმ „შავის ყვავილისა“ ანუ ჭირისა, რომელიც ამ ჟამად არის გავრცელებული თფილისში და რომელიც, სხვა-და-სხვა გარემოების მიზეზით, შეიძლება გაჩნდეს თელავშიაც.

ამ გვარი გონივრული განკარგულება ეხლა—საღამოს ხუთს საათზედ— თვითოეულმა კომლმა შეიტყო და ერთი რაღაც მიხლა-მოხლა და მითქმა-მოთქმა მოახდინა მცხოვრებთ შორის.

მართალიც არის, რომ ამისთანა საშიშარს და გადასადებს სატკივარს შეუძლიან იქონიოს ხალხში შთაბეჭდილება, მაგრამ, მაგარი ეს არის, რომ იმ დარიგების აღსასრულებლად, რომელიც არის პუბლიკაციაში გამოხატული, ერთობ გრძელი ვადა არის დანიშნული. ვადა არის ერთი თვე... ყველა ჩვენგანი ამ გრძელი ვადის იმედით ვიტყვით და ვამბობთ: აი დღეს გავწმენდავ ეზოსა, აი ხვალ, აი ზეგ და ამაობაში საქმე დარჩება ისევ ძველებურათ და ქუჩები დარჩება ისევ იმ უწმინდურებაში, როგორც აქამომდე იყო.

უპირატესი ყურადღება უნდა მიაქციოს აქაურ პოლიციამ საყასპოებზედ, სადაც ეხლაც საძაგელი სურნელება ჰსუფევს მიწაში ჩამჯდარი დახოცილი საქონლის სისხლისაგან, და რომ ეს თფილს დღეებამდინაც ისე დარჩეს, მაშინ თუნდ სხვა ქვეყნიდანაც არ მოიტანოს ვინმე ჭირი, უიმისოთაც, თავის თავათ გავვიჩნდება. ავათმყოფობის გავრცელებაზედ უეჭველად დიდი ზედმოქმედება ექმნება აგრეთვე საკირეებს და აგურხანებს, რომელიც შიგ ქალაქში აქვთ ზოგიერთ მცხოვრებს და აქამდის ვერ მოუხერხებიათ იმათი მოსპობა, თუმცა კი თითონაც გრძნობენ ხშირათ იმათ გამო ჰაერის სიმძიმეს მეტადრე ზაფხულში.

ახლა სხვა საგანზედ მინდა მოგელაპარაკოთ:

ამ ჩვენს თელავში ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ძველი ჩვეულება და ყოველს კვირა-უქმე დღეს იმართება მუშტის-კრივი. აქაური ყმაწვილ-ბიჭობა ნასადილევის ორი საათიდგან დაწყებული იკრიფება ერთს რომელსამე დანიშნულს ადგილს. პირველათ კრივი, როგორც სხვა სამხედრო საქმე, იწყობა პატარაებით; მერმე დამარცხებულ მხარეს მიეშველებიან იმათზედ მოზდილები და ბოლოს ცოლშვილიანი კაცებიც მიიღებენ ხოლმე მონაწილეობას. გაიმართება ამგვარათ ერთი შეუბრალებელი ცემა-ტყეპა, სადაც მეომარნი, კარგათ შეზარხოშებულნი ღვინით, აღარა ჰზოგავენ ერთმანეთს. ბრძოლა გრძელდება ორი ანუ სამი საათი და გათავდება მხოლოდ დაბნელების მიზეზით ისიც მაშინ, როდესაც ერთი პარტია მოკრივე ვეღარ გაარჩევს თავის მოწინააღმდეგეს და იმის ნაცვლად თავის მომხრეს უთავაზებენ მაგარ მუშტებსა!.

კრივის დროს თელავის ხალხი იყოფა ორ ნაწილათ: ერთს პარტიას შეადგენენ რიყიდგან აღმოსავლეთის მცხოვრებნი და მეორეს—დასავლეთისანი. ომის დაწვრილებითი ამბავი შეიტყობა მეორეს დღეს. გამარჯვება უფრო ხშირათ აღმოსავლეთის პარტიას ეკუთვნის..

ამისთანა ომში დაღლის შოვნაც არის: ყველა ცდილობს, რომ თავის მოწინააღმდეგეს ან ქუდი წაართვას, ან ჯიბე მოაგლიჯოს. ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ომის საღამოს ბევრი ნაწილი მეომარისა მიდის სახლში თავ-პირ დამტვრეული, ჯიბე მოგლეჯილი და ხან სრულებით შიშველიც. ხან-და-ხან ეს მუშტის-კრივი მავნებელია აქაურის ხალხისათვის, რადგან ღვინო სმელები გამო-

ვლენ სიცივეში, ბრძოლაში ცივდებიან და ავათმყოფობა ხშირდება. ამას გარდა ყოფილა იმისთანა მაგალითებიც, რომ კრივში ზოგიერთს მიუღია სასიკვდინე დაჭრილობაც და სამარეში ჩაწოლილა.. ამისთანა შემთხვევა უფრო მაშინ მოხდება ხოლმე, როდესაც დამარცხებულ მხარეს უკანასკნელი ღონის-ძიებად დარჩება ქვის სროლა, რომელიც იმისთანა სიმრავლით გადადის ორივე პარტიებიდგან ერთმანეთში, როგორც ახის-ძირის ომში ტყვია.. მრთელს ვერსზედ ისმის ბრძოლის ველის კიჟინა და ქვების ჩახი-ჩუხი. მე თითონ ვიცნობ რავდენსამე თელაველს კრივის მიზეზით გაცალთვალებულს და გაცალფეხებულს. ქვის სროლაში სახლებსაც ეძლევათ ზარალი: მინები გადმოდის ძირს საამურის ჟღრიალით...

თელაველი

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! ამ იანვრის 5-ს № 3 „დროებაში“ წავიკითხე სტატია, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ უეზდის ნაჩალნიკებისთვის და პრისტავებისთვის მიწერილი ყოფილა მთავრობიდამ, რათა გამოუცხადონ თავის უეზდში და საპრისტაოში, ვისაც რა სურდეს, შესწირონ დაჭრილებისათვის, და იმ მიწერილობის ძალით თ-იალეთის პრისტავს ყალამქაროვს გამოეცხადებინოს წალკის ხალხისათვის ის გარემოება, და მათაც დიდის სიამოვნებით მიეღოთ მონაწილეობა იმ კეთილს საქმეში.

დიახ სწორეთ და მართლად აგრე იყო საქმე: ვითომც ვის ფულად ვის პურად შეუწირავთ და როცა ბორჩალოს ნაჩალნიკს მოუთხოვნია ყალამქაროვისთვის ანგარიში, ჯერ უჩვენებია მოგროვილი ოთხი თუმანი და ომაროვს (ბორჩალის უფროსს) ეჭვი გამოუცხადებია და კერძოთ სხვისთვის მიუნდვია — გამოიძიოს, ვის რამდენი და რა შეუწირავს. ამ გარემოების გამო პრისტავი გატეხილა და უთქვამს თოთხმეტი თუმანი არის მოგროვებულიო, მაგრამ ფული ჯერეც არ არის ჩაბარებული და იმ საქმის ახლო მცოდნე კაცს უამბნია, ფული თუ მიწის ნაწარმოები არის მოგროვებული სულ 300 მან. მეტიო.

ზემოთ გამოვაცხადე რაც მართალია, დანარჩენი სრულად ცრუთ არის დაწერილი; ეხლა დავწერ როგორც ნამდვილად იყო ეს საქმე.

როდესაც მე გამოუცხადე წალკის ხალხს ესე გარემოება კეთილის დარიგებით და შევაგონე ყველას, მაშინვე ერთის ხმით დაიძახეს, მზათა ვართ შეწირვისათვის, ხოლოთ ფულათ ძნელია ჩვენთვის, პურათ მოვაგროვებთო, წლეულ კარგი პური გვაქვსო და მერე ფულად მოვაქცევთო. მადლობა უთხარი და ვთხოვე, რომ ეცადნენ კაი სუმის პური შეადგინონ, რომ გაზეთებში დაიწერება, ვისაც რამდენი შეუწირავს.

შემდგომ ამისა მამასახლისებს ყველას თავის სოფლებიდამ შეედგინათ თავიანთში ნუსხა—ვის რა ერთი სომარი პური უნდათ შესწირონ.

ოკტომბრის თვეში წალკის რვა საზოგადოებიდამ ერთს ესე იგი ბუნია-ყალოს მამასახლისის კანდიდატს იანე ფლავ-ოღლსა გაეყიდნა თოთხმეტის თუმნის ხორბალი და ფული წარმომიდგინა, რომ ოდესაც სულ მოგროვდება, მაშინ ერთათ წარვადგინო საცა ალაგია. ამ ფულის ჩაბარების ბარათი მივეცი ფლავ-ოღლსა, და იმ დღეებში კიდეც გამოვიცვალე პრისტაობიდამ. მაშინ მე ის 140 მანეთი ისევ დაუბრუნე ფლავ-ოღლსა, ბარათიც გამოვართვი და უთხარი, როცა მოგროვდება სულ, ერთიანათ წარადგენთ ალაგსა, ხოლოთ ეს კი ვიცი, რომ თუ სულ მოგროვდეს ორმოც თუმანზედაც მეტი შედგება ფული, რადგანც პურს კარგი ფასი აქვს ეხლა-მეთქი.

არც უფ. ომაროვს ანგარიში უთხოვნია, არც არავის და ვისაც ნებავს, შეუძლიან მოითხოვოს წალკიდამ ცნობა და დარწმუნდეს ნამდვილად.

ამას გარდა ამა წლისავე იანვრის 20-ს № 14 „დროებაში“ განმეორებით იყო ამ საგანზედ დაწერილი რამდენიმე სიტყვა. სტატიის ავტორს მე მიუმსგავსებივარ ბასპარას, მარტიროზას და სხვებს მედუქნეებს, რომელნიც ახალ შეძინებულს ოსმალოს სანჯაყებში ბოროტათ მოქმედობენ თავიანთ სამსახურის დროს. იქნება მართალი იყოს ეს, მაგრამ მე, დიდი ხნის ნამსახური კაცი, არ ვიქნები იმათი მსგავსი, რომ დაჭრილების ფულით ვისარგებლო და მითი გავიშავო 30 წლის სამსახური და სისხლით ნაშოვნი ვლადიმერის ჯვარი.

უმორჩილესად გთხოვთ, უფ. რედაქტორო, ამ მცირე თავის-გასამართლებელ შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

თრიალეთის პრისტავი ი. ყალამქაროვი

უცხო ქვეყნები

საბერძნეთი

გაზეთის „Indépendance Belge“-ის სიტყვით საბერძნეთსა ჰყავს ამ ჟამად 25,000 ჯარი, რომელთაც შესძლეს ოსმალეთთან ბრძოლაში ნამდვილი მონაწილეობის მიღება. ამას გარდა საბერძნეთს აქვს ხომალდები, მაგრამ მომეტებული ნაწილი ამ ხომალდებისა სავაჭრო ხომალდებია და სამხედრო საჭიროებისათვის ვერ გამოდგება. სამხედრო ხომალდები კი ისე ცოტა აქვს საბერძნეთს და ისე სუსტები, რომ ოსმალეთის ძლიერი ფლოტის შიშით ისინი ზღვაში ვერ გამოვლენ.

თესალიაში და ეპირში, საცა ამას წინათ გაგზავნა საბერძნეთმა თავის ჯარები და საიდამაც ისევ მალე დააბრუნა, რადგან ოსმალეთი ხომალდებით მიდგომას და ათინისა და პირეის ყუმბარებით დანგრევას დაემუქრა, ოსმალეთს ჰყავს ამ ჟამად სულ 18,000 კაცი.

— გაზეთს „Polit. Correspon.“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 24 იანვარს ათინიდამ მიღებული:

„აქ, ათინაში, გავარდა ხმა, რომ დღე-დღეზე ოსმალეთის ფლოტი მოადგება ჩვენს ქალაქსაო და ზარბაზნებით უნდა დაუშინონო. ამბობენ, ბობარტ-ფაშა არის ამ ოსმალოს ფლოტის უფროსათაო.

„ამ გარემოებამ საშინლად აალელვა ხალხი არა თუ მარტო ათინისა, არამედ მთელი საბერძნეთისა.“

საფრანგეთი

საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში დიდი შეტაკება ყოფილა 21 იანვარს მარჯვენა და მარცხენა მხარეს შუა (რესპუბლიკელებსა და მონარხიელებს შუა). ჯერ ორ დეპუტატს ბონაპარტიელსა და რესპუბლიკელს მოსვლიათ ერთმანეთში გაცხარებული ლაპარაკი; კრების თავსმჯდომარეს ბონაპარტიელი დეპუტატი (ფორი) მტყუანად უცვნია და დაუსჯია. ამის გამო ყველა მარჯვენა მხრის დეპუტატები ამდგარან და გარეთ გამოსულან კრებიდამ.

მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაბრუნებულან და ამასთანავე ბონაპარტისტების წინამძღოლი რუე ასულა კათედრაზე და უთქვამს, სხვათა შორის, რომ კრების უმრავლესობა სარგებლობს თავის ძალითაო, ის არ აღიარებს კანონიერ აღრჩეულად მხოლოთ ისეთს დეპუტატებს, რომელნიც იმის პარტიას არ ეკუთვნიანო, ამისთანა საქმეების გამოდგომას, ის სჯობიან, რომ უფრო მძიმე და საჭირო საგნებზე დავიწყოთ სჯაო.

გამბეტტა იცვავს კრების უმრავლესობას (რესპუბლიკურ პარტიას) ამ გვარს მიდგომაში და თვითონ რუესა და იმის პარტიას აბრალებს მექსიკის ექსპედიციას და საფრანგეთის უკანასკნელი დროის უბედურებას. „თქვენ იყავით ყურ-მოჭრილი ყმა და კერძო, თქვენი სარგებლობის მძებნელი იმპერიისაო!“ ამ სიტყვებით მიმართა თურმე გამბეტტამ ბონაპარტისტებს.

რუემ ამაზედ უპასუხა: „რესპუბლიკელების სიგიჟემ დააკარგვინა საფრანგეთს თავის საუკეთესო ორი პროვინციაო!“

ამის შემდეგ ჩამოვარდნილა კრებაში

ერთი საშინელი ყვირილი, ხმაურობა და თაეს-მჯდომარეს სხდომა დაუხურავს.

ნარევი

ერთმა ვილაცამ უთხრა თურმე ამ დღეებში ბისმარკს, რომ ინგლისი ისეთ ნარად ატყდაო, რომ ის რუსეთს ომს გამოუცხადებსო. მ. ბისმარკი მიუბრუნდა თურმე თავის მოსაუბრეს და ლიმილით უთხრა:

— ბანა გაუგონია ვისმე, რომ თევზს ცხენისათვის ომი გამოეცხადებინოს?

* * *

ჯერ კიდევ ნამდვილად არ შეუტყვიათ—თუ ვინ არის ის ახალგაზდა ქალი, რომელმაც პეტერბურლის მთავარ პოლიციმეისტერს ღენ.-ადიუტ. ტრეპოვს რევოლვერი ესროლა. მეორეს ამბობს თურმე ქაზლოვის ქალი ვარო, სხვები კი ამტკიცებენ, რომ ვიღაც ზასულიჩის ქალია, რომელიც ნეჩაევის საქმეშიაც ერეოო.

დაჭრილი ტრეპოვი, რომელსაც გვერდში მოხვდა ტყვია, ამ ჟამად ძრიელ ავათ არის; მაგრამ ამბობენ კი, რომ შეიძლება მოარჩესო. ტყვია ჯერაც არ ამოულიათ.

* * *

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორებმა გადაწყვიტეს, რომ ქალებიც მაღლონ ამ უნივერსიტეტში სტუდენტებად და ყველა გვარი დიპლომები მიხცენ, როცა ეგზამენიებს დიპერენ.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბთს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ბიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., ბიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალი ავათმყოფობის.

განცხადებანი

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

რადგან ხშირად მოგვდის სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; რომ გვსურს უარაიაზის მამული ვიყიდოთო, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ საქვეყნოთ გამოვაცხადოთ რომ 16,000 დესიატინიდამ ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, რომელნიც მომეტებული ნაწილი სარწყავი მამულებია.

ბაქიდვის პიროობა და ფასი უჩასტკებისა ისევ ძველი რჩება.

ვისაც ამ მამულების შეძენა ჰსურს და დაწერილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების კანცელარიაში, ბანოვის ქუჩაზე, სახლი №7, ანუ უარაიაზის გამგებელთან ივანე სტეფანეს ძეს ხატისოვთან—თფილისში, ლაბარატორიის ქუჩაზე, №15.

გასასყიდი უჩასტკები:

| არხი | | |